



აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია
THE FEDERATION OF AUDITORS ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS

სერტიფიცირებული ბუღალტრის

ს ა ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ც ი ო პ რ ო გ რ ა მ ა

დამტკიცებულია აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის
გამგეობათა სხდომის მიერ

(ოქმი №5 15.12.2022)

შინაარსი

სასერტიფიკაციო პროგრამა -----	3
სასერტიფიკაციო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში -----	13
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 1, სწავლის ფორმები და მეთოდები -----	25
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 2, სასწავლო კურსების სილაბუსები -----	31
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 3, სასწავლო კურსის მარეგულირებელი წესი -----	75
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 4, პროგრამის სტრუქტურა -----	11
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 5, სასწავლო შედეგების რუკა -----	12
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 6, ინფორმაცია პროგრამის ავტორების და ლექტორების შესახებ -----	93
სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 7, პროგრამის დამტკიცების აქტი -----	118
ინფორმაცია სასერტიფიკაციო პროგრამის შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ -----	121

სასერტიფიკაციო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	სასერტიფიკაციო პროგრამა / Certification program შემუშავებულია სფეროს მარეგულირებელი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.
მისანიჭებელი სტატუსი	სერტიფიცირებული ბუღალტერი / Certified accountant
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	24 (ECTS) კრედიტი 700 საათი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ავტორი/ავტორები ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პაპასქუა იური - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, აზგმფ აღმასრულებელი დირექტორი; ჯალაღონია დავით - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, აზგმფ განათლების კომიტეტის წევრი; ჯანგულაშვილი ლევანი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აზგმფ განათლების კომიტეტის თავმჯდომარე;
პროფესიულ სერტიფიცირებაზე დაშვების წინაპირობები	ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; საქართველოში ან უცხოეთში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება; ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაცია; პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისათვის პირს გამოცდებზე დასაშვებად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით განსაზღვრულ ყველა საგანში სულ მცირე საშუალო დონეზე (გარდა ეკონომიკისა, რომელშიც კანდიდატის კომპეტენცია შეიძლება დადასტურდეს საბაზო დონეზე). პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს და რეგისტრაცია უნდა გაიაროს აზგმფ-ში. რეგისტრირებული პირი, სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მოპოვებამდე იწოდება კანდიდატად.

პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია: სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებლისთვის შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტით მოთხოვნილი პროფესიული კომპეტენციის შესაბამისი უნარების გამომუშავებისა და გამოვლენის უზრუნველყოფა.
სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსები	სასერტიფიკაციო პროგრამა მოიცავს 5 (ხუთ) სასწავლო კურსს საგნებში: ა) „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფასს სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; ბ) „აუდიტი“ – აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სპეკტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; გ) „ბიზნესის მართვა და რისკი“ – კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; დ) „ბიზნეს სამართალი“ – ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე“; ე) „საგადასახადო დაბეგვრა“ - საგადასახადო კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე“;
სწავლება-სწავლის მეთოდები	სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning). სწავლის ფორმები და მეთოდები აღწერილია და წარმოდგენილია დანართში № 1
პროგრამის/მისაღწევი სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერების, პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, შეფასების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარების ათვისება და ფლობა, რომლის მიღწევაც სავალდებულოა კანდიდატისთვის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებლისთვის.

სასწავლო კურსების მიხედვით ა) „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ (უმალლესი დონე)	1. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენება სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან; 2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან; 3. ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის შეფასება; 4. ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად; 5. ფინანსური ანგარიშგებისა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაცია; 6. არაფინანსური მონაცემების შემცველი ანგარიშების ინტერპრეტაცია.
ბ) „აუდიტი“ (უმალლესი დონე)	1. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მიზნებისა და ეტაპების აღწერა; 2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შესაფერისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების აუდიტში; 3. ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება და აუდიტის სტრატეგიაზე მისი გავლენის განხილვა; 4. აუდიტორულ გარიგებებში გამოსაყენებელი რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკული გამოყენება; 5. მარწმუნებელი გარიგებების ელემენტებისა და მარწმუნებელი გარიგებების სტანდარტების ძირითადი ელემენტების ახსნა.
გ) „ბიზნესის მართვა“ (უმალლესი დონე)	1. ეფექტიანი კორპორაციული მართვის პრინციპების ახსნა, მათ შორის, მესაკუთრეთა, ინვესტორებისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების უფლებებისა და პასუხისმგებლობების ახსნა. ასევე კორპორაციულ მართვაში, ინფორმაციის გამჟღავნებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებში დაინტერესებულ მხარეთა როლის ახსნა; 2. ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის ელემენტების ანალიზი; 3. ორგანიზაციის რისკებისა და შესაძლებლობების ანალიზი რისკის მართვის კონცეფციის ფარგლებში; 4. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის ანალიზი.

დ) „ბიზნეს სამართალი“ (საშუალო დონე)	1. სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის მარეგულირებელი და სხვა საკანონმდებლო აქტების ახსნა. 2. სერტიფიცირებული ბუღალტრის საქმიანობის გარემოსთან დაკავშირებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ახსნა.
ე) „საგადასახადო სამართალი“ (საშუალო დონე)	1. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობა და დეკლარირების მოთხოვნები. 2. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გამოთვლა ფიზიკური პირებისა და სამეურნეო სუბიექტებისათვის. 3. მარტივ საერთაშორისო ოპერაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ანალიზი. 4. გადასახადების დაგეგმვას, კანონიერი გზებით გადასახადების შემცირებასა და გადასახადების უკანონო მეთოდებით დამალვას ან შემცირებას შორის განსხვავების ახსნა.
სასწავლო კურსების შინაარსი	იხ. დანართი №2
შეფასების სისტემა	კურსის დამთავრების შემდეგ კანდიდატები აბარებენ გამოცდას, რაც სასერტიფიკაციო პროცესის აუცილებელია ეტაპია. საგამოცდო პროცესს ახორციელებს ბაფ-ის საგამოცდო ცენტრი, რომელშიც საგამოცდოდ კურსდამთავრებული იგზავნება მიმართვის საფუძველზე. შეფასება ხდება წერილობითი გამოცდის ჩატარებით. საგამოცდო ბილეთებს ამზადებს საგამოცდო ცენტრი. წერითი, გამოცდისთვის განკუთვნილია 4 საათი. შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება კანდიდატის მიერ 50 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 50-60 ქულა. ბ) ერთი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 0 - 49 ქულა, რაც ნიშნავს, რომ კანდიდატის მიერ

	ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. კანდიდატის მიერ გამომუშავებული უნარ-ჩვევები დასტურდება აღრიცხვა-ანგარიშებისა და აუდიტის სფეროში 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებით. დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (იხ. დანართი №3)
საგამოცდო პროცესი	სასერტიფიკაციო პროგრამა/საგამოცდო პროცესი მოიცავს 5 (ხუთ) სასერტიფიკაციო გამოცდას, მათ შორის: ა) „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფასს სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; ბ) „აუდიტი“ – აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; გ) „ბიზნესის მართვა“ – კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე; დ) „ბიზნეს სამართალი“ – ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე; ე) „საგადასახადო სამართალი“ – საგადასახადო კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე; საგამოცდო პროცესი ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს მიერ. ასეთად მოიაზრება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამოცდების განმახორციელებელი ორგანო (მხარეთა შორის თანამშრომლობის თაობაზე 2018 წლის 18 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად).

გამოცდისგან განთავისუფლება	დასაშვებია კანდიდატის პროფესიული სერტიფიცირებისთვის აუცილებელი სასწავლო კურსების ცალკეული გამოცდისაგან გათავისუფლება. კანდიდატის გამოცდისაგან განთავისუფლების ინსტრუმენტად გამოიყენება ჩათვლა. სასწავლო კურსებში ჩათვლის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით – ბუღალტრული აღრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები და სოციალური მიმართულებით ეკონომიკის დარგში და კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ: 1. 2005 წლის ჩათვლით. ასეთი კანდიდატები გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ 2021 წლამდე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) საფუძველზე. 2. 2005 წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის პირველი იანვრისა. ასეთი კანდიდატების სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაშვება მოხდება დაშვებისათვის გათვალისწინებული სასწავლო კურსის/საგნის ჩათვლის საფუძველზე, რომელიც განხორციელდება დიპლომის დანართში ასახული ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის/საგნის შესაბამისად. 3. 2022 წლის პირველი იანვრის შემდეგ. ასეთი კანდიდატების სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაშვება მოხდება დაშვებისათვის გათვალისწინებული სასწავლო კურსის/საგნის ჩათვლის საფუძველზე, რომელიც განხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) ფარგლებში სწავლის შედეგების მიხედვით, საათების მინიმალური მოცულობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის დისციპლინების (საგნის) ჩათვლა ხორციელდება სამსახურის მიერ აღიარებული, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) ფარგლებში სწავლის შედეგების მიხედვით, საათების მინიმალური მოცულობის გათვალისწინებით. პირი უფლებამოსილია ჩაითვალოს უცხოეთში საგანმანათლებლო დაწესებულებებებში დასრულებული საგანი/სასწავლო კურსი, სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. კანდიდატისათვის სასწავლო კურსის ჩათვლა მოიცავს ასევე შესაბამისი გამოცდისაგან გათავისუფლებას.
პროგრამის სტრუქტურა	იხ. დანართი № 4
სწავლის შედეგების რუკა	იხ. დანართი № 5

პროგრამის ანალოგი	პროგრამა ეფუძნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესს“ აგრეთვე, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტების მოთხოვნებს, განგრძობითი განათლების პროგრამაზე პროფესიული ორგანიზაციების მუშაობისა და სწავლების პროცესის გამოცდილებას.
სერტიფიცირებულ ბუღალტერთა დასაქმების სფეროები	სერტიფიცირებულ ბუღალტერთა დასაქმების სფეროა აუდიტორული კომპანიები, კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორის საწარმოები და ორგანიზაციები.
ინფორმაცია სასერტიფიკაციო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ ლექტორები/ინსტრუქტორები/ექსპერტები	გორბატკოვი კონსტანტინე - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საგადასახადო ექსპერტი; თაკალანძე ლარისა - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი; პაპასქუა იური - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი, აზგმფ აღმასრულებელი დირექტორი; ძიმციეშვილი ნანული - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი; ჯალაღონია დავითი - ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აზგმფ განათლების კომიტეტის წევრი; საჭიროების შემთხვევაში, დამატებით იქნებიან მოწვეულები ლექტორები, ინსტრუქტორები, და ექსპერტები შერჩევის საფუძველზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	სასერტიფიკაციო პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებელთათვის შექმნილი აქვთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და კომფორტული პირობები. ესაა შესაბამისი სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, საპრეზენტაციოდ აუცილებელი აუდიო და ვიდეო ტექნიკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები. საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც კანდიდატებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამის (სილაბუსების) მიხედვით აუცილებელი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით. მიმდინარეობს სახელმძღვანელოების ეტაპობრივი შევსება. სწავლების პროცესში კანდიდატებს ლექტორებისაგან სისტემატიურად ეგზავნებათ ელექტრონული სასწავლო მასალა. პროგრამის ეფექტიანი მართვის და მაღალხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ ეტაპზე შესაძლებელია 40 კანდიდატის მიღება.
პროგრამის დამტკიცების აქტი	იხ დანართი №7
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ხორციელდება საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას ბიუჯეტებიდან, აგრეთვე სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებელთა სწავლების გადასახადისგან
სასერტიფიკაციო პროგრამის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები	ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, მათ შორის, სწავლებასა და სწავლას, ხელმძღვანელობას და ადმინისტრირებას. ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემა იძლევა საკმარის ანალიტიკურ ინფორმაციას პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებისათვის, რათა მუდმივად ხდებოდეს სასერტიფიკაციო პროგრამის ხარისხის განვითარება.

პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები	სასერტიფიკაციო პროგრამების/სასწავლო კურსის/ცალკეული დისციპლინების (საგნების) სილაბუსები ექვემდებარებიან განახლებას არაუგვიანეს 3 წლის ვადაში, საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებში (სტანდარტებში) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. პროფესიული ორგანიზაცია ხარისხის უზრუნველყოფისათვის იყენებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, მათ შორის, თვითშეფასების ანგარიშს; პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს. ყოველწლიურად ახორციელებს ამ კრიტერიუმების შესაბამისად პროგრამის შიდა შეფასებას, შეიმუშავებს პროგრამის სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციებს; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის (საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების) და მასში ჩართული პერსონალის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა) ყოველწლიურ შეფასებასა და მონიტორინგს; ლექტორების, ინსტრუქტორებისა და ექსპერტების ანგარიშების მომზადებასა და მონიტორინგს; კანდიდატთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავებასა და გამოკითხვის ორგანიზებას სასწავლო კურსისა და საგამოცდო პროცესის ყოველ ეტაპზე; სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, მათ თაობაზე თემატური სემინარების ორგანიზებას და უცხოური პრაქტიკის შესწავლას.
---	--

პროგრამის სტრუქტურა

N	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება ეტაპების მიხედვით				ლექტორი	წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
პროგრამის სასწავლო კომპონენტი - 28 კრედიტი 700 საათი											
1	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	CP 001	6	90	60	✓				ჯალალონია დავით, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი	სილაბუსის მიხედვით
2	აუდიტი	CP 002	6	90	60		✓			მიმცეიშვილი ნანული, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი	- „ -
3	ბიზნესის მართვა	CP 003	6	90	60			✓		თაკალანძე ლარის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი	- „ -
4	ბიზნეს სამართალი	CP 004	5	75	50				✓	პაპასქუა იური, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი	- „ -
5	საგადასახადო სამართალი	CP 005	5	75	50				✓	გორბატკოვი კონსტანტინე ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,	- „ -
სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება წელიწადში საგაზაფხულო და შემოდგომის ორ საგამოცდო სესიად											

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტი	სწავლის შედეგები					
		ცოდნა და გაცნობიერება	სწავლის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	✓	✓	✓	✓	✓	✓
2.	აუდიტი	✓	✓	✓	✓	✓	✓
3.	ბიზნესის მართვა	✓	✓	✓	✓		
4.	ბიზნეს სამართალი	✓	✓	✓	✓	✓	✓
5.	საგადასახადო სამართალი	✓	✓	✓	✓	✓	✓

სასერტიფიკაციო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარებით დაინტერესებული პროფესიული ორგანიზაცია:	
ორგანიზაციის სახელწოდება	საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
ორგანიზაციის სახე	პროფესიული ორგანიზაცია
საიდენტიფიკაციო კოდი	404921670

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სასერტიფიკაციო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სერტიფიცირებული ბუღალტერი
კრედიტების რაოდენობა	28 კრედიტი - 700 საათი
პროგრამის განხორციელების ადგილი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სასწავლო კორპუსის N, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ეგნატე ნინოშვილი 55, მე-6 სართული
პროგრამის სტატუსი	წარდგენილია ზედამხედველობის სამსახურში შესათანხმებლად

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	საქართველო, 0160 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2,
ორგანიზაციის ვებ-გვერდი	gfaafm.ge;
ორგანიზაციის ელ-ფოსტა	gfaafm@gmail.com;
ტელეფონი	577 47 97 19; 574 34 64 27
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	გამგეობის თავმჯდომარე: ელგუჯა აფრიდონიძე
პროგრამის ავტორი/ხელმძღვანელი	ლევან ჯანგულაშვილი, იური პაპასქუა. დავით ჯალაღონია
მობილური ტელეფონი	514 12 0012; 574 34 64 27; 577 17 07 08

სასერტიფიკაციო პროგრამის მოკლე მიმოხილვა:

წარმოდგენილი სასერტიფიკაციო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის მიერ.

ამ პროგრამას ზუსტი ანალოგი არ არსებობს. ის ეფუძნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №ნ-16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესს“ აგრეთვე, განგრძობითი განათლების პროგრამაზე პროფესიული ორგანიზაციების მუშაობისა და სწავლების პროცესის გამოცდილებას.

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია დაინტერესებულია მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამების აღიარებით. გამოცდის განმახორციელებელ ორგანოდ მოიაზრება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ), რომელთანაც აღნიშნულზე მიღწეულია შეთანხმება.

თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა

სასერტიფიკაციო პროგრამის თვითშეფასებას ახორციელებს ჯგუფი პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, განათლების, ხარისხის მონიტორინგისა და კონტროლის კომიტეტების წევრების, მოწვეული აკადემიური პერსონალის შემადგენლობით, რომელიც ჩართული იყო ამ პროგრამის შექმნასა და მონაწილეობას მიღებენ შესრულებაშიც.

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 სექტემბრის № ნ-16 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის (დანართი №1) მოთხოვნებთან. სასერტიფიკაციო მთლიანად სასერტიფიკაციო პროგრამა და მისი ცალკეული ელემენტი შესაბამისობაშია პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია პროფესიულ მოთხოვნებთან და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანი მიღწევადია.

სასწავლო კურსის შინაარსი განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს სწავლების მეთოდებისა და საათების მოცულობის გათვალისწინებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საათების რაოდენობა განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოს სერტიფიცირებული ბუღალტრის მაძიებლისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებასა და გამოვლენას.

სწავლის შედეგები, რომელიც განსაზღვრულია ისე, რომ უზრუნველყოს სერტიფიცირებული ბუღალტრისთვის მოთხოვნილი კომპეტენციები და

შესაბამისობაშია ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალურ სწავლის შედეგებთან.

სწავლების მეთოდების ერთობლიობა თანხვედრაშია სასერტიფიკაციო პროგრამით დასახული მიზნებსა და შესაბამის კომპეტენციის დონეებთან. კომპეტენციის სფეროები, რომელსაც მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, მკაფიოდ იდენტიფიცირდება და შეესაბამება პროფესიული კომპეტენციის კომპონენტებს.

შეფასების მეთოდები, სასერტიფიკაციო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსისათვის და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისათვის, ადეკვატურია და სამართლიანად აფასებს კანდიდატის უნარჩვევებსა და ცოდნას.

სასწავლო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს თანამედროვე და აქტუალურ მოთხოვნებს, შეიცავს პრაქტიკულ ელემენტებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

კანდიდატის ცოდნის შეფასების პროცესი იქნება გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფილია ტექნიკური შესაძლებლობით.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება პროფესიული ორგანიზაციის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია: სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებლისთვის შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტით მოთხოვნილი პროფესიული კომპეტენციის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებისა და გამოვლენის უზრუნველყოფა.

პროგრამის შინაარსი ემსახურება შემდეგ მიზნებს:

✓ სწავლის შედეგად ისეთი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც ამჟამად აუცილებელია შრომის ბაზარზე ბუღალტრისა და აუდიტორის კვალიფიკაციით მუშაობისთვის:

✓ სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მასალის მოსამზადებლად აუცილებელი საფუძვლის შექმნა.

✓ დაინტერესებული მხარეებისთვის დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება პროგრამისა და გამოცდის თითოეული ნაწილის შესახებ.

✓ კანდიდატებისთვის დახმარების გაწევა გამოცდებისთვის მზადების დროს.

✓ ინფორმაციის მიწოდება მათთვის, ვინც სასწავლო კურსებს ატარებენ და კანდიდატებს ეხმარებიან გამოცდებისთვის მომზადებაში.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერების, პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, შეფასების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარების ათვისება და ფლობა, რომლის მიღწევაც სავალდებულოა კანდიდატისთვის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებლისთვის. კერძოდ:

✓ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების გამოყენება სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან მიმართებით.

✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან მიმართებით.

✓ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის შეფასება.

✓ ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად.

✓ ფინანსური ანგარიშგებისა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაცია.

✓ არაფინანსური მონაცემების შემცველი ანგარიშების ინტერპრეტაცია (მაგალითად, მდგრადობის ანგარიშებისა და ინტეგრირებული (შერეული) ანგარიშების).

ცოდნა: ადრე შესწავლილი მასალის დამახსოვრებისა და გახსენების უნარი, მაგალითად: კონკრეტული ფაქტების, მეთოდების, პრინციპებისა და პროცედურების (ანუ განსაზღვრის, განმარტების, ჩამოყალიბების, ჩამოთვლის უნარი).

გაგება: მასალის აზრის/მნიშვნელობის ათვისებისა და ინტერპრეტაციის უნარი (ანუ კლასიფიცირების, ახსნის, განსხვავების გამოვლენის უნარი).

გამოყენება: შესწავლილი მასალის ახალ კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი (ანუ დემონსტრირების, პროგნოზირების, გადაწყვეტილების მიღების, ცვლილების შეტანის, თანაფარდობის განსაზღვრის უნარი).

ანალიზი: მასალის შემადგენელ ნაწილებად დაყოფა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გასაგებად; მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შეცნობის, სხვადასხვა სახის ქცევის განსხვავების უნარი და აზრის დასასაბუთებლად აუცილებელი მნიშვნელოვანი კომპონენტების განსაზღვრის უნარი (ანუ განსხვავების შეცნობის, შეფასების, სისტემატიზაციის უნარი).

სინთეზი: ცალკეული ნაწილების შეკრების/ერთად თავმოყრის უნარი, ერთი მთლიანი სურათის ან ოპერაციების შემოთავაზებული ნაკრების მისაღებად; იდეებს/მოსაზრებებს შორის კავშირის დადგენისა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბების უნარი (ანუ გაერთიანების, ფორმულირების, შესწორების უნარი).

შეფასება: გარკვეული მიზნისთვის მასალის მნიშვნელობის შეფასების უნარი, მისი თანამიმდევრულობისა და ლოგიკური სისწორის მიხედვით და სტანდარტებთან შედარების საფუძველზე; მოქმედების წესის არჩევასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა შეფასების უნარი (ანუ კრიტიკული ანალიზის, დასაბუთებისა და დასკვნების გამოტანის უნარი).

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

პროგრამა ორიენტირებულია შედეგზე და ითვალისწინებს კანდიდატებისთვის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს

გასაუმჯობესებელი მხარეები

გამოვლინდება პრაქტიკული რეალიზაციის პრობებში. ახალ მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრების სასერტიფიკაციო პროგრამის ადაპტირება ჯერ არ მომხდარა.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა სტატუსის მაძიებელთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სასერტიფიკაციო პროგრამაზე სწავლებისა და გამოცდის პროცესში ჩართვას ექვემდებარებიან:

ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ან საქართველოში ან უცხოეთში ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება;

ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაცია;

პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისათვის პირს გამოცდებზე დასაშვებად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტით განსაზღვრულ ყველა საგანში სულ მცირე საშუალო დონეზე (გარდა ეკონომიკისა, რომელშიც კანდიდატის კომპეტენცია შეიძლება დადასტურდეს საბაზო დონეზე).

2.2 სასერტიფიკაციო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. მისი სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სასერტიფიკაციო პროგრამა მოიცავს 5 (ხუთ) სასწავლო კურსს საგნებში:

ა) „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება“ – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, ფასს სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

ბ) „აუდიტი“ – აუდიტი, მარწმუნებელი მომსახურება და პროფესიული უნარები, პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა, ეთიკური პრინციპები,

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართ ვალდებულება, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

გ) „ბიზნესის მართვა“ – კორპორაციული მართვა, რისკის მართვა და შიდა კონტროლი, კვალიფიკაციის უმაღლეს დონეზე;

დ) „ბიზნეს სამართალი“ – ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე;

ე) „საგადასახადო სამართალი“ – საგადასახადო კანონმდებლობა, კვალიფიკაციის საშუალო დონეზე;

სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კომპონენტები და დეტალური შინაარსი აღწერილია სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) და ერთვის პროგრამას.

2.3. სასწავლო კურსი

სასერტიფიკაციო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning). სწავლის ფორმები და მეთოდები აღწერილია და წარმოდგენილია სასერტიფიკაციო პროგრამის დანართში № 1

2.6. სერტიფიცირებულ ბუღალტერის სტატუსის მაძიებელთა შეფასება

კანდიდატების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №5-16 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის“ მოთხოვნებს.

კანდიდატის საგამოცდო პროცესს ახორციელებს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) საგამოცდო ცენტრი, რომელსაც კანდიდატი გამოცდაზე დასაშვებად ეგზავნება წერილობით მიმართვით, სასერტიფიკაციო პროგრამის სწავლების ნაწილის გავლის შემდეგ. მიმართვაში აღინიშნება კანდიდატის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

კანდიდატის გამოცდის შედეგებს აფასებს საგამოცდო ცენტრი ზედამხედველობის

სამსახურის მიერ აღიარებული პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად. კანდიდატის ცოდნა ფასდება **100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:**

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 50-60 ქულა.

ბ) ერთი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 0 - 49 ქულა, რაც ნიშნავს, რომ კანდიდატის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სილაბუსებში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და ერთვის სასერტიფიკაციო პროგრამას (იხ. დანართი №3)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგია შეესაბამება რეიტინგული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკას და პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურია.

გასაუმჯობესებელი მხარეები

გამოვლენილი არაა.

3. კანდიდატთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამდიებელზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს.

3.1 სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამდიებლის საკონსულტაციო მომსახურება

კანდიდატი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

ლექტორებს, სპეციალისტებს, ექსპერტებს, რომლებიც ჩართულნი არიან სწავლების პრიცესში ყოველ სასწავლო კვირაში გამოყოფილი აქვთ საკონსულტაციო საათები და კანდიდატებს საშუალება აქვთ მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე საჭირო ინფორმაცია.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა სასერტიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სასერტიფიკაციო პროგრამის განსახორციელებლად **საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას** სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამდიებელთათვის შექმნილი აქვთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და კომფორტული პირობები. ესაა შესაბამისი სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, საპრეზენტაციოდ აუცილებელი აუდიო და ვიდეო ტექნიკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები. საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც კანდიდატებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამის (სილაბუსების) მიხედვით აუცილებელი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით. მიმდინარეობს სახელმძღვანელოების ეტაპობრივი შევსება. სწავლების პროცესში კანდიდატებს ლექტორებისაგან სისტემატიურად ეგზავნებათ ელექტრონული სასწავლო მასალა.

პროგრამის ეფექტიანი მართვის და მაღალხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ ეტაპზე შესაძლებელია 40 კანდიდატის მიღება.

სწავლების პროცესის განსახორციელებლად, აბფმფ-ს იჯარით აქვს აღებული შესაბამისი სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, საპრეზენტაციოდ აუცილებელი აუდიო და ვიდეო ტექნიკა თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე.

4.4. სასერტიფიკაციო პროგრამის დაფინანსების წყაროები და ფინანსური მდგრადობა

დაფინანსება ხორციელდება **საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის** ბიუჯეტიდან, აგრეთვე სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამდიებელთა სწავლების გადასახადისგან.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები ადამიანური რესურსებით და სასწავლო ბაზით პროგრამა კარგადაა უზრუნველყოფილი
გასაუმჯობესებელი მხარეები საქართველოში პროფესიული ორგანიზაციების ბიუჯეტი მწირია, რის გამოც მატერიალურ-ტექნიკური პირობები, სახელმძღვანელოთა ხელმისაწვდომობა სასურველია გაუმჯობესდეს.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე რესურსებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის მონიტორინგისა და კონტროლის კომიტეტებთან პროგრამის ხარისხის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, მათ შორის, სწავლებასა და სწავლას, ხელმძღვანელობას და ადმინისტრირებას.

ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის სისტემა იძლევა საკმარის ანალიტიკურ ინფორმაციას პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებისათვის, რათა მუდმივად ხდებოდეს სასერტიფიკაციო პროგრამის ხარისხის განვითარება.

სასერტიფიკაციო პროგრამების/სასწავლო კურსის/ცალკეული დისციპლინების (საგნების) სილაბუსები ექვემდებარებიან განახლებას არაუგვიანეს 3 წლის ვადაში, საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებში (სტანდარტებში) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

პროფესიული ორგანიზაცია ხარისხის უზრუნველყოფისათვის იყენებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, მათ შორის, თვითშეფასების ანგარიშს; პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებს. ყოველწლიურად ახორციელებს ამ კრიტერიუმების შესაბამისად პროგრამის შიდა შეფასებას, შეიმუშავებს პროგრამის სრულყოფის, მოდიფიცირებისა და განახლების თაობაზე რეკომენდაციებს; უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის (საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების) და მასში ჩართული პერსონალის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა) ყოველწლიურ შეფასებასა და მონიტორინგს; ლექტორების, ინსტრუქტორებისა და ექსპერტების ანგარიშების მომზადებასა და მონიტორინგს; კანდიდატთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავებასა და გამოკითხვის ორგანიზებას სასწავლო კურსისა და საგამოცდო პროცესის ყოველ ეტაპზე; სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, მათ თაობაზე თემატური სემინარების ორგანიზებას და უცხოური პრაქტიკის შესწავლას.

6. პასუხები სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების თვითშეფასების კითხვარზე

#	შინაარსი	დიახ	არა	კომენტარი
1	სასწავლო კურსი უნდა წარიმართოს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად?	☒	☐	
2	ერთი სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) მოიცავს ერთ ან რამდენიმე კომპეტენციის სფეროს?	☒	☐	
3	სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანი შეესაბამება პროფესიულ მოთხოვნებს, ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე?	☒	☐	
4	სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანი არის მიღწევადი?	☒	☐	
5	სასწავლო კურსის შინაარსი განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს სწავლების მეთოდებისა და საათების მოცულობის გათვალისწინებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას?	☒	☐	
6	გონივრულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი საათების რაოდენობა?	☒	☐	
7	სწავლის შედეგები არის მკაფიოდ განსაზღვრული და შეესაბამება სამსახურის მიერ დადგენილ მინიმალურ სწავლის შედეგებს?	☒	☐	
8	სხვადასხვა სასწავლო კურსის და სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასერტიფიკაციო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, კომპეტენციის დონის შესაბამისად?	☒	☐	
9	კომპეტენციის სფეროები, რომელსაც მოიცავს სასერტიფიკაციო პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, მკაფიოდ იდენტიფიცირდება და შეესაბამება პროფესიული კომპეტენციის კომპონენტ(ებ)ს?	☒	☐	
10	შეფასების მეთოდები, სასერტიფიკაციო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსისათვის და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისათვის, ადეკვატურია და სამართლიანად აფასებდეს კანდიდატს?	☒	☐	
11	სასწავლო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს თანამედროვე და აქტუალურ მოთხოვნებს, შეიცავდეს პრაქტიკულ ელემენტებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას?	☒	☐	
12	კანდიდატის ცოდნის შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფს კანდიდატის ინფორმირებას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ?	☒	☐	
13	სასწავლო კურსის მიზანია კანდიდატის მიერ სასწავლო კურსის პროგრამით (სილაბუსით) გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის გამომუშავება?	☒	☐	

დანართების ჩამონათვალი

სასერტიფიკაციო პროგრამის აღიარების მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინება განცხადება, რომელსაც (მატერიალური და ელექტრონული ფორმით) ერთვის:

1. აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის სასერტიფიკაციო პროგრამა;
2. სასერტიფიკაციო პროგრამის სწავლების ფორმები და მეთოდები კანდიდატების/სერტიფიცირებული ბუღალტრების სტატუსის მაძიებელთათვის, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 1;
3. სასწავლო კურსების შინაარსი თითოეული სასწავლო კურსისათვის (სილაბუსები), სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 2;
4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 3;
5. პროგრამის სტრუქტურა, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 4;
6. სასწავლო შედეგების რუკა, სასერტიფიკაციო პროგრამის დანართი 5;
7. პროგრამის დამტკიცების აქტი - პროგრამის დამტკიცების აქტი 7;
8. ცალკეული დისციპლინების (საგნების) აღიარების თვითშეფასების ანგარიში;
9. ინფორმაცია საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული, სასწავლო კურსის შესაბამისი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ);
10. ინფორმაცია სასწავლო კურსის (სილაბუსის) ავტორის/ავტორების ვინაობისა და კვალიფიკაციის შესახებ (აკადემიური ხარისხი, პრაქტიკული გამოცდილება);
11. შეთანხმება სპეციალიზებული გამოცდის განმახორციელებელ პირთან ურთიერთობის შესახებ;

**სასერტიფიკაციო პროგრამის სწავლების ფორმები და მეთოდები
კანდიდატების/სერტიფიცირებული ბუღალტრების სტატუსის
მაძიებელთათვის**

განმარტება:

კანდიდატი – სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან საქართველოში ან უცხოეთში მოპოვებული აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება ან რომელიც პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელია;

სწავლების ძირითადი ფორმები:

- ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- კონსულტაცია.

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ **ლექტორები/ინსტრუქტორები/ექსპერტები** და **კანდიდატები/სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებლები**.

ლექციის ძირითადი მიზანია სასწავლო კურსის/შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას.

ლექციამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსის დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში კანდიდატთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით.

ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება კანდიდატის დამოუკიდებელი მუშაობით. კანდიდატს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ლექციის ძირითადი დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი წაკითხვის უფლება უნდა ენიჭებოდეს მხოლოდ გამოცდილ ლექტორს/ინსტრუქტორს/ექსპერტს, ვინაიდან მათი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და გადმოცემის ოსტატობა ლექციის მაღალ დონეზე ჩატარების გარანტიაა. ლექციის მეთოდური საკითხების დამუშავების დროს ლექტორი/ინსტრუქტორი/ექსპერტი, ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მასალის გადაცემის თანმიმდევრობაზე, ლექციის სტილზე, აუდიტორიასთან კავშირზე. ლექცია უნდა მიმდინარეობდეს კანდიდატთა აქტიური მონაწილეობით, მეთოდურ საშუალებათა და თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით. თეორიული მასალა, რომელიც ლექციაზე გადაიცემა, კარგად აღიქმება სემინარებით, და პრაქტიკული მეცადინეოებით.

სემინარის დანიშნულებაა კანდიდატებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. ლექტორის/ინსტრუქტორის/ექსპერტის მითითებით კანდიდატი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების

საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, ნახაზების, ესკიზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ.

კონსულტაციები კანდიდატს ხელს უნდა უწყობდეს ლექტორის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. **ლექტორს/ინსტრუქტორს/ექსპერტს** სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებული მეთოდებია:

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს კანდიდატთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს კანდიდატს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც კანდიდატი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან

გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ✓ პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- ✓ დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- ✓ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- ✓ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- ✓ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- ✓ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

6. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ კანდიდატებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც ლექტორის, ასევე კანდიდატის მიერ. ეს მეთოდი თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ

რისი შესრულება მოუწევთ კანდიდატებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

7. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

8. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

9. ანალიზის მეთოდი გამოიყენება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დასაშლელად. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

10. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

11. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი იტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო კანდიდატები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

12. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

15. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

✓ **დასწრებული**, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს ლექტორსა და კანდიდატების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;

✓ **დისტანციური** სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;

✓ **ჰიბრიდული** (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება
სასწავლო კურსის კოდი	CP 001
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
სასწავლო კურსის კრედიტები	6 კრედიტი - 150 საათი. აქედან, საკონტაქტო - 90 საათი; დამოუკიდებელი - 60 საათი.
ლექტორი	ჯალაღონია დავითი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი, ტელ.: 577 17 07 08; E- mail: dato.jalagonia@gmail.com კონსულტაციები: ყოველი კვირის სამშაბათი 15 : 00-დან 17 : 00 სთ.
სასწავლო კურსის ფორმატი	აუდიტორიული მეცადინეობა - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია კანდიდატმა შეძლოს: მიღებული ცოდნის, უნარებისა და პროფესიული განსჯის უნარის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების პრინციპებსა და პრაქტიკასთან მიმართებაში სხვადასხვა ბიზნეს გარემოში. ამ კურსის ათვისების შემდეგ კანდიდატი შეძლებს: - ბუღალტრის პროფესიული და ეთიკური მოვალეობის განხილვას; - ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შეფასებას; - საწარმოს ფინანსური საქმიანობის შესახებ რჩევის მიცემასა და ანგარიშგების მომზადებას; - საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად; - სპეციალიზებულ საწარმოთა მიერ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ახსნას; - საწარმოთა ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების შეფასებას; - მიმდინარე მოვლენების შეფასებას.
სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი ისწავლება ერთი სემესტრი. იგი მოიცავს 16-17 კვირას. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლის მეთოდად გამოიყენება: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning).
სასწავლო კურსის თემატიკა შინაარსი (დეტალურად)	იხ. დანართი 1

სწავლის შედეგები	სწავლებისა და სწავლის შედეგად კანდიდატი მიიღებს ცოდნასა და გაცნობიერების, პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, შეფასების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარებს, რომ ადვილად შეძლოს: მიღებული ცოდნის, უნარებისა და პროფესიული განსჯის უნარის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების პრინციპებსა და პრაქტიკასთან მიმართებაში სხვადასხვა ბიზნეს გარემოში. ამ კურსის ათვისების შემდეგ კანდიდატი შეძლებს: ✓ ბუღალტრის პროფესიული და ეთიკური მოვალეობის განხილვას; ✓ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შეფასებას; ✓ საწარმოს ფინანსური საქმიანობის შესახებ რჩევის მიცემასა და ანგარიშების მომზადებას; ✓ საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად; ✓ სპეციალიზებულ საწარმოთა მიერ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების ახსნას; ✓ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების შეფასებას; ✓ მიმდინარე მოვლენების შეფასებას.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა	ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებულ საფეხურზე სწავლის უფლება, ან პროფესიული განათლების V საფეხურის დიპლომი.
სწავლების ენა	ქართული
სასწავლო კურსის შესაბამისი კომპეტენციის დონე;	უმაღლესი დონე
შეფასების კრიტერიუმები	კურსის დამთავრების შემდეგ კანდიდატები აბარებენ გამოცდას, სასერტიფიკაციო პროგრამაზე დაყრდნობით, რაც სასერტიფიკაციო პროცესის აუცილებელია ეტაპია. საგამოცდო პროცესს ახორციელებს ბაფ-ის საგამოცდო ცენტრი, რომელშიც საგამოცდოდ კურსდამთავრებული იგზავნება მიმართვის საფუძველზე. შეფასება ხდება წერილობითი გამოცდის ჩატარებით. გამოცდის ფორმატი ითვალისწინებს 40 კითხვას პასუხების ფიქსირებული ვარიანტით. შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება კანდიდატის მიერ 50 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში. გამოცდის ფორმატი: წერიტი, გამოცდისთვის განკუთვნილია 4 საათი.
სასწავლო ლიტერატურა	1. საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება (სსა), სახელმძრვანელო, ბაფ, 2022 2. საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება (სსა) საგამოცდო კრებული, ბაფ, 2022 3. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები; 4. P2 კორპორაციული ანგარიშგება - სრული ტექსტი; 3. P2 კორპორაციული ანგარიშგება - პრაქტიკული სავარჯიშოები. დამატებით: სალექციო მასალა პრეზენტაციის სახით, სიტუაციური ამოცანები ამოხსნით, დასარიგებელი მასალა (არსებობის შემთხვევაში)
სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება	სასწავლო კურსის სილაბუსი განახლებულია 2023 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით. სასწავლო კურსის პროგრამაში ყოველი ცვლილება ეცნობება ზედამხედველობის სამსახურს შესათანხმებლად,

სასწავლო კურსის თემატიკა შინაარსი (დეტალურად)	1. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კონცეპტუალური საფუძვლები შესავალი ა. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები; ბ. სამართლიანი ღირებულების შეფასება. 2. ბუღალტრის პროფესიული და ეთიკური მოვალეობები. ა. ეთიკის კოდექსი; ბ. არაეთიკური ქცევის შედეგები. 3. ანგარიში საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ ა. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ბასს 1); ბ. შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა; ბ. სააღრიცხვო პოლიტიკა, ბუღალტრული შეფესებების ცვლილებები და შეცდომები (ბასს 8); გ. ფინანსური ანგარიშგების ზოგადი მახასიათებლები; დ. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები (ფასს 5); ე. შემოსავალი აქციაზე (ბასს 33) ვ. შუალედური ფინანსური ანგარიშგება (ბასს 34) 4. ამონაგები ა. ამონაგების აღიარების 5-საფეხურებიანი მიდგომა; ბ. ხელშეკრულების დანახარჯები; გ. წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში; დ. განმარტებითი შენიშვნები. 5. გრძელვადიანი აქტივები ა. ძირითადი საშუალებები (ბასს 16) ბ. აქტივების გაუფასურება (ბასს 36) გ. ბასს 20 „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“ დ. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები (ბასს 23) ე. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები (ფასს 5) ვ. ბასს 40 - „საინვესტიციო ქონება“ ზ. არამატერიალური აქტივები 6. სოფლის მეურნეობა და მარაგები ა. სოფლის მეურნეობა (ბასს 41); ბ. მარაგები. 7. უცხოური ვალუტა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ა. უცხოური ვალუტა; ბ. ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები;
--	--

გ. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა;
უცხოურ ვალუტაში წარმოებული სამეურნეო ოპერაციების
ფინანსური აღრიცხვა.

8. იჯარა

- ა. იჯარის იდენტიფიკაცია;
- ბ. იჯარის ასახვა მეიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- გ. იჯარის ასახვა მეიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- დ. გაყიდვისა და უკუიჯარის სამეურნეო ოპერაციები.

9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

- ა. საპენსიო პროგრამის ტიპები;
- ბ. დადგენილ შენატანიანი პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა (ბასს 19);
- გ. დადგენილ გადასახდელიანი პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა;
- გ. მოკლევადიანი დასაქმებულთა გასამრჯელოები;
- დ. შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოები;
- ე. სხვა დასაქმებულთა გასამრჯელოები.

10. წილობრივი გადახდა

- ა. წილობრივი გადახდა
- ბ. წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგება;
- გ. მოდიფიკაცია, გაუქმება, გადახდა;
- დ. ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგება.

11. საანგარიშგო პერიოდის შემდგომი მოვლენები, ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

- ა. საანგარიშგო პერიოდის შემდეგი მოვლენები;
- ბ. ანარიცხები;
- გ. პირობითი ვალდებულებები;
- დ. პირობითი აქტივები;
- ე. კონკრეტული შემთხვევები;
- ვ. რეორგანიზაციის ანარიცხები;

12. ფინანსური ინსტრუმენტები

- ა. შესავალი;
- ბ. ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია;
- გ. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება;
- დ. ფინანსური აქტივების გაუფასურება;
- ე. წარმოებულები;
- ვ. ჰეჯირების აღრიცხვა;
- ზ. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ.

13. გადასახადები

- ა. გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები;
- ბ. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები;
- გ. განსაკუთრებული შემთხვევები;
- დ. საგადასახადო შემოსავალი და ხარჯი;

14. ანგარიშგება საოპერაციო სეგმენტების მიხედვით

- ა. საანგარიშგებო სეგმენტის განმარტება;
- ბ. სეგმენტების შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
- გ. სეგმენტის შესახებ ანგარიშგებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

15. დაკავშირებული მხარეები

- ა. დაკავშირებული მხარეების განმარტება;
- ბ. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების საჭიროება;
- გ. განმარტებითი შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ.

16. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

17. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები

- ა. მსს ფასს სტანდარტი
- ბ. საკითხები, რომელიც გამოტოვებულია მსს სტანდარტებში;
- გ. სააღრიცხვო მიდგომის არჩევის შესაძლებლობის აკრძალვა;
- დ. გამარტივებული მიდგომა.

18. საწარმოთა ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა - ძირითადი ჯგუფები

- ა. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმეორება;
- ბ. ჯგუფის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის გამეორება;
- დ. მეკავშირე საწარმოს გამეორება;
- ე. კონტროლი;
- ვ. შეძენის მეთოდი;
- ზ. გუდვილის გაუფასურება;
- თ. ერთობლივისაქმიანობა.

19. საწარმოთა ჯგუფის სტრუქტურის ცვლილება

- ა. წილების გაყიდვის სხვადასხვა ვარიანტები
- ბ. ინვესტორი საწარმოს ანგარიშები
- გ. საწარმოთა ჯგუფის ანგარიშები
- დ. საწარმოთა ჯგუფის ანგარიშები – სრულად გაყიდვა
- ე. ჯგუფური ანგარიშები, გაყიდვა – შვილობილი საწარმოს მეკავშირედ ქცევა
- ვ. ჯგუფური ანგარიშები – გაყიდვა ინვესტიციის შენარჩუნებით
- ზ. ფინანსური აღრიცხვა გაყიდვისა, როდესაც კონტროლის დაკარგვა არ ხდება
- თ. გასაყიდად შენარჩუნებული შვილობილი საწარმოს შესყიდვა
- ი. საწარმოთა ჯგუფის აღრიცხვა: ცვლილებები ჯგუფის

სტრუქ- ტურაში

კ. საწარმოთა ჯგუფის რეორგანიზაციის შეფასება

20. საწარმოთა ჯგუფის აღრიცხვა - უცხოური ვალუტა

ა. შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება;

ბ. გუდვილის გადაანგარიშება;

გ. საკუროსო სხვაობის გამოთვლა;

დ. უცხოური შვილობილი საწარმოს გაყიდვა.

21. საწარმოთა ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ა. ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანი;

ბ. ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია;

გ. საწარმოთა ჯგუფის ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება;

დ. უცხოურ ვალუტაში წარმოებული სამეურნეო ოპერაციები;

დ. ფულადი ნაკადების ანგარიშგების შეფასება.

22. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და ინტერპრეტაცია

ა. ანალიზი და ინტერპრეტაცია;

ბ. ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების შეფასება;

გ. შემოსავალი აქციაზე;

დ. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკისა და არჩევანის გავლენა; ფულადი ნაკადების ანგარიშგება;

ე. საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლები;

ვ. საქმიანობის შედეგების არაფინანსური მაჩვენებლები;

ზ. ეთიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების გავლენა;

თ. მდგრადობის ანგარიში;

ი. ინტეგრირებული ანგარიშგება.

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

ს ი ლ ა ზ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	აუდიტი
სასწავლო კურსის კოდი	CP 002
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
სასწავლო კურსის კრედიტები	6 კრედიტი - 150 საათი. აქედან, საკონტაქტო - 90 საათი; დამოუკიდებელი - 60 საათი.
ლექტორი	მიმცეიშვილი ნანული, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ ასოც. პროფესორი, ტელ.: 593 32 32 79 E- mail: ndzimtseiShvili@yahoo.com კონსულტაციები: ყოველი კვირის სამშაბათი 15 : 00-დან 17 : 00 სთ.
სასწავლო კურსის ფორმატი	აუდიტორიული მეცადინეობა - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია კანდიდატმა გააანალიზოს, შეაფასოს და დასკვნები ჩამოაყალიბოს, მარწმუნებელი მომსახურების გარიგებებისა და ასევე აუდიტთან და სხვა სახის მარწმუნებელ მომსახურებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, მსოფლიოში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკისა და თანამედროვე მოვლენების ფონზე. ეს კურსი ეფუძნება F8 მოდულის - „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ - თემებს, მაგრამ როგორც უმაღლესი დონის საგანი, გაცილებით უფრო მეტ საკითხებს შეისწავლის, ვიდრე უბრალოდ ასს-ების ცოდნაა და თქვენი უნარი, ჩამოთვალეთ სტანდარტული აუდიტორული პროცედურები. კანდიდატს უნდა შეეძლოს თეორიული ცოდნის გამოყენება აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების უფრო რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში; იმ სამუშაოს განსაზღვრა, რომლის შესრულებაც მოითხოვება აუდიტში და სხვა დავალებებში და შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასება. კანდიდატმა უნდა იცოდეს საკითხები, რომლებიც ისწავლება „ფინანსურ აღრიცხვაში“, „ფინანსურ ანგარიშგებასა და „კორპორაციული ანგარიშგებაში“. ამგვარად, კანდიდატმა უნდა იცოდეს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები. ამ კურსის შესწავლის შემდეგ კანდიდატმა უნდა შეძლოს: ✓ აუდიტსა და მარწმუნებელ მომსახურებაზე იურიდიული და მარეგულირებელი გარემოსა და მისი გავლენის დახასიათება; ✓ იმის დემონსტრირება, რომ რეალურად შეუძლიათ მარწმუნებელი ან სხვა სახის მომსახურების დავალებების შესრულება პროფესიული და ეთიკური ნორმების ფარგლებში; ✓ აუდიტური ფირმის მენეჯმენტისთვის შესაფერისი ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება და განსაზღვრა, ასევე აუდიტორის პოზიციის განსაზღვრა პროფესიულ დანიშნაზე თანხმობის მიცემასა და არსებული გარიგებების გაგრძელებასთან (შენარჩუნებასთან) დაკავშირებით; ✓ იმ სამუშაოების განსაზღვრა, რომლებიც მოითხოვება აუდიტის დავალებების მიზნების მისაღწევად და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება;

	✓ იმ სამუშაოების განსაზღვრა, რომლებიც მოითხოვება აუდიტის გარდა (არააუდიტორული) სხვა დავალებების მიზნების მისაღწევად; ✓ ჩატარებული სამუშაოს შედეგების შეფასება და მოცემული დავალების კონკრეტული გარემოებების შესაფერისი დასკვნის მომზადება; ✓ მსჯელობა მიმდინარე საკითხებსა და მოვლენებზე, რომლებიც ეხება აუდიტთან დაკავშირებულ და მარწმუნებელ მომსახურებებზე.
სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი ისწავლება ერთი სემესტრი. იგი მოიცავს 16-17 კვირას. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლის მეთოდად გამოიყენება: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning).
სასწავლო კურსის თემატიკა შინაარსი (დეტალურად)	იხ. დანართი 1
სწავლის შედეგები	სწავლებისა და სწავლის შედეგად კანდიდატი მიიღებს ცოდნასა და გაცნობიერების, პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, შეფასების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარებს. ამ კურსის გავლის შემდეგ მიღებული ცოდნის საფუძველზე კანდიდატი ადვილად შეძლოს: ✓ აუდიტსა და მარწმუნებელ მომსახურებაზე იურიდიული და მარეგულირებელი გარემოსა და მისი გავლენის დახასიათება; ✓ იმის დემონსტრირება, რომ რეალურად შეუძლია მარწმუნებელი ან სხვასახის მომსახურების დავალებების შესრულება პროფესიული და ეთიკური ნორმების ფარგლებში; ✓ აუდიტური ფირმის მენეჯმენტისთვის შესაფერისი ხარისხის კონტროლის პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება და განსაზღვრა, ასევე აუდიტორის პოზიციის განსაზღვრა პროფესიულ დანიშვნაზე თანხმობის მიცემასა და არსებული გარიგებების გაგრძელება (შენარჩუნება); ✓ იმ სამუშაოების განსაზღვრა, რომელიც მოითხოვება აუდიტის დავალებების მიზნების მისაღწევად და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოსაყენებლად; ✓ იმ სამუშაოების განსაზღვრა, რომელიც მოითხოვება აუდიტის გარდა (არააუდიტორული) სხვა დავალებების მიზნების მისაღწევად; ✓ ჩატარებული სამუშაოს შედეგების შეფასება და მოცემული დავალების კონკრეტული გარემოებების შესაფერისი დასკვნის მომზადება; ✓ მსჯელობა მიმდინარე საკითხებსა და მოვლენებზე, რომელიც ეხება აუდიტთან დაკავშირებულ და მარწმუნებელ მომსახურებაზე.

შეფასების კრიტერიუმები	კურსის დამთავრების შემდეგ კანდიდატები აზარებენ გამოცდას, სასერტიფიკაციო პროგრამაზე დაყრდნობით, რაც სასერტიფიკაციო პროცესის აუცილებელია ეტაპია. საგამოცდო პროცესს ახორციელებს ბაფ-ის საგამოცდო ცენტრი, რომელშიც საგამოცდოდ კურსდამთავრებული იგზავნება მიმართვის საფუძველზე. შეფასება ხდება წერილობითი გამოცდის ჩატარებით. გამოცდის ფორმატი ითვალისწინებს მხოლოდ პრაქტიკული შემთხვევების ანალიზის/სცენარის ტიპის კითხვებს. შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება კანდიდატის მიერ 50 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში. გამოცდის ფორმატი: წერითი, გამოცდისთვის განკუთვნილია 4 საათი.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა	კანდიდატს შესწავლილი (მათ შორის დამოუკიდებლად) უნდა ჰქონდეს შემდეგი სასწავლო კურსები: ა) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება; ბ) F8 აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება.
სწავლების ენა	ქართული
სასწავლო კურსის შესაბამისი კომპეტენციის დონე;	უმაღლესი დონე
სავალდებულო ლიტერატურა	სასწავლო ლიტერატურა (დასახელებების აბრევიატურებით): 1. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე) - სახელმძღვანელო, მეთერთმეტე გამოცემა, ბაფი 2019 წელი; 2. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (უმაღლესი დონე)- სავარჯიშოების კრებული, მეთერთმეტე გამოცემა, ბაფი 2019 წელი; 3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები - ასს 4. ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი - ხმსს 5. მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტრუქტურული საფუძვლები - მგსსს 6. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი - ეთიკის კოდექსი 7. მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები - მისს 8. მარწმუნებელი გარიგებები, აუდიტისა და მიმოხილვის გარდა - მასს 9. დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები - დასს დამატებით: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, სალექციო მასალა პრეზენტაციის სახით, სიტუაციური ამოცანები ამოხსნით, დასარიგებელი მასალა (არსებობის შემთხვევაში)
სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება	სასწავლო კურსის სილაბუსი განახლებულია 2023 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით. სასწავლო კურსის პროგრამაში ყოველი ცვლილება ეცნობება ზედამხედველობის სამსახურს შესათანხმებლად.

სასწავლო კურსის თემატიკა შინაარსი (დეტალურად)	აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო მარეგულირებელი გარემო ა. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო მარეგულირებელი ნორმატიული საფუძვლები ბ. კორპორაციული მართვა და აუდიტის კომიტეტები გ. შიდა კონტროლის ეფექტიანობა დ. ფულის გათეთრება ე. კანონმდებლობა 2. ეთიკისა და ქცევის კოდექსი ა. კოდექსის, ძირითადი პრინციპებისა და კონცეპტუალური მიდგომის დაცვა; ბ. სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები - დამოუკიდებლობა; გ. სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები - კონფიდენციალობა; დ. სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები - ინტერესთა კონფლიქტი; ე. წინააღმდეგობა ეთიკის ძირითადი პრინციპების გამოყენებაში; 3. პროფესიული ვალდებულება ა. იურიდიული ვალდებულება; ბ. დაუდევრობა; გ. ვალდებულების შეზღუდვა და პროფესიული ზარალის დაზღვევა; დ. აუდიტორის ვალდებულებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები; ე. თაღლითობა და შეცდომა; ვ. მოლოდინის გაცრუება; 4. აუდიტის ხარისხის მართვა ა. პრინციპები და მიზანი; ბ. ხარისხის მართვა ფირმის დონეზე; გ. გარიგების ხარისხის მიმოხილვა. 5. პროფესიული სამუშაოს მოძიება და დანიშვნაზე დათანხმება ა. რეკლამირება და საზღაური; ბ. ტენდერი; გ. დათანხმება; დ. გარიგების პირობები; 6. დაგეგმვა და რისკის შეფასება ა. გამეორება: აუდიტის დაგეგმვა; ბ. აუდიტის მეთოდოლოგია; გ. არსებობა და რისკი; ე. ანალიზური პროცედურები; ვ. პირველი აუდიტის დაგეგმვა. 7. მტკიცებულება ა. აუდიტორული მტკიცებულება; ბ. დაკავშირებული მხარეები; გ. საწყისი ნაშთები; დ. აუდიტორის ექსპერტის სამუშაოზე დაყრდნობა; ე. შიდა აუდიტის სამუშაოზე დაყრდნობა; ვ. მომსახურე ორგანიზაციების გამოყენების გავლენა აუდიტზე ზ. დოკუმენტირება
--	--

8. შეფასება და მიმოხილვა (i)

- ა. გამეორება: მიმოხილვის პროცედურები და მიმოხილვის შედეგების შეფასება
- ბ. გამეორება: საწყისი ნაშთები
- გ. გამეორება: შესადარისი ინფორმაცია
- დ. გამეორება: სხვა ინფორმაცია
- ე. აუდიტორი და სისტემა/ გამეორება: შემდგომი მოვლენები
- ვ. გამეორება: ფუნქციონირებადი საწარმო

9. შეფასება და მიმოხილვა (ii) ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები

- ა. რეალური ღირებულება;
- ბ. მარაგები;
- გ. მატერიალური გრძელვადიანი აქტივები
- დ. არამატერიალური გრძელვადიანი აქტივები
- ე. ფინანსური ინსტრუმენტები;
- ვ. საინვესტიციო ქონება;
- ზ. გაცვლითი სავალუტო კურსები

10. შეფასება და მიმოხილვა (iii) ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები

- ა. შემოსავალი;
- ბ. ვალდებულებები;
- გ. ხარჯები;
- დ. განმარტებითი შენიშვნები.

11. ჯგუფის აუდიტი და ტრანსნაციონალური აუდიტი

- ა. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა მოკლე მიმოხილვა;
- ბ. მეკავშირე საწარმოები და ერთობლივი საქმიანობა - მოკლე მიმოხილვა;
- გ. ჯგუფის აუდიტი;
- დ. კონსოლიდაცია: პრობლემები და პროცედურები;
- ე. ერთობლივი აუდიტი;
- ვ. ტრანსნაციონალური აუდიტი.

12. აუდიტთან დაკავშირებული მომსახურება და სხვა მარწმუნებელი მომსახურება

- ა. აუდიტთან დაკავშირებული მომსახურება;
- ბ. მარწმუნებელი გარიგებები;
- გ. რისკის შეფასება.

13. პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია

- ა. დასკვნის შედგენა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შესახებ;
- ბ. გარიგებაზე დათანხმება;
- გ. პროცედურები;
- დ. მოსაზრების ჩამოყალიბება.

14. სასამართლო აუდიტი

- ა. განმარტებები;
- ბ. სასამართლო აუდიტის გამოყენება;
- გ. დაგეგმვა, პროცედურები და მტკიცებულებები

15. სოციალური და ეკოლოგიური აუდიტი

- ა. მნიშვნელობა კომპანიისთვის;
- ბ. სოციალური და გარემოს დაცვითი საქმიანობის შედეგების შეფასება;
- გ. გავლენა სავალდებულო აუდიტზე, გავლენა მარწმუნებელ მომსახურებაზე;
- დ. საქმიანობის შედეგების ინფორმაციის აუდიტი საჯარო სექტორში.
- ე. ინტეგრირებული ანგარიშგება.

16. შიდა აუდიტი და შიდა აუდიტის ფუნქციების გადაცემა გარე მომსახურე ორგანიზაციაზე

- ა. გაშეორება: შიდა აუდიტი
- ბ. კომპანიის ფუნქციების გადაცემა გარე მომსახურე ორგანიზაციაზე
- გ. სპეციფიკური ფუნქციების გადაცემა
- დ. კომპანიის ფუნქციების მომსახურე ორგანიზაციაზე გადაცემის გავლენა აუდიტზე

17. დასკვნის მომზადება

- ა. სტანდარტული არამოდიფიცირებული აუდიტორის დასკვნის კრიტიკული შეფასება
- ბ. აუდიტორული მოსაზრების ჩამოყალიბება და კრიტიკული განხილვა
- გ. ანგარიშის წარდგენა ელექტრონული ფორმით
- დ. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირება

18. მიმდინარე საკითხები

- ა. მიმდინარე საკითხების მოკლე მიმოხილვა
- ბ. ასს-ების განახლება
- გ. ზოგადი საკითხები

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	ბიზნესის მართვა (კორპორაციული მართვა, რისკი და ეთიკა)
სასწავლო კურსის კოდი	CP 003
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
სასწავლო კურსის კრედიტები	6 კრედიტი - 150 საათი. აქედან, საკონტაქტო - 90 საათი; დამოუკიდებელი - 60 საათი.
ლექტორი	თაკალანძე ლარისა, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი; ტლ.: 577 17 70 89; E- mail: speaker@sou.edu.ge კონსულტაციები: ყოველი კვირის სამშაბათი 15 : 00-დან 17 : 00 სთ.
სასწავლო კურსის ფორმატი	აუდიტორიული მეცადინეობა - ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია: კანდიდატი წახალისოს პროფესიონალიზმისა და ანგარიშვალდებულების განმსაზღვრელი თემატიკით. მიჩნეულია, რომ კორპორაციული მართვისა და ეთიკური შეხედულებების ცოდნა ბუღალტრის პროფესიის საფუძვლებია. ბუღალტრები არა მხოლოდ დამკვეთების ან დამსაქმებელი კომპანიების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ, არამედ უნდა ითვალისწინებდნენ სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებსაც. აქ აქცენტი კეთდება სტრატეგიულ დონესა და დირექტორთა საბჭოს მართვის საკითხებზე, ასევე იმ განმსაზღვრელ გარემოსა და კულტურულ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის მართვასა და ორგანიზაციის მხრიდან რისკების მართვის ხარისხზე. ამ კურსის ფარგლებში შემოწმდება უმაღლესი დონის უნარჩვევები. კანდიდატებისგან მოითხოვება არა მხოლოდ თეორიული ნაწილის ცოდნა, არამედ მათი პრაქტიკულად გამოყენებაც.
სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი ისწავლება ერთი სემესტრი. იგი მოიცავს 16-17 კვირას. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლის მეთოდად გამოიყენება: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ახსნა-განმარტებითი მეთოდები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება (E-learning).
სასწავლო კურსის თემატიკა შინაარსი (დეტალურად)	იხ. დანართი 1

სწავლის შედეგები	სწავლებისა და სწავლის შედეგად კანდიდატი მიიღებს ცოდნასა და გაცნობიერების, პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული ანალიზის, შეფასების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარებს, რომ ადვილად შეძლოს: ➤ რისკის შეფასების დინამიკური ხასიათი; ➤ რისკის შეფასების ცვლილებებზე ხელმძღვანელობის რეაგირების მნიშვნელობა და ხასიათი; ➤ რა არის კომპანიისთვის მისაღები რისკის დონე და როგორ ზეგავლენას ახდენს იგი რისკთან დაკავშირებულ პოლიტიკურ კურსზე; ➤ შეაფასოს ბიზნესრისკებისა და ფინანსური რისკების ხასიათი და მნიშვნელობა; ➤ შიდა კონტროლისა და რისკის შესახებ კომპანიის ფარგლებს გარეთ ანგარიშგების პროცესი და მისი მნიშვნელობა; ➤ შეაფასოს პრინციპი - “იმდენად მცირე, რამდენადაც შესაძლებელია გონივრულ ფარგლებში” - რისკის შეფასების კონტექსტში და რა კავშირშია იგი რისკის სიმძიმესა და ალბათობასთან; ➤ შეაფასოს რისკის აღქმის სირთულეები, მათ შორის, რისკის ობიექტური და სუბიექტური აღქმის ცნებები; ➤ შეაფასოს დაკავშირებული რისკის ფაქტორების ცნებები; ➤ განსაზღვროს და შეაფასოს, როგორ იყენებენ კომპანიები პოლიტიკურ კურსსა და პრაქტიკულ მეთოდებს სხვადასხვა სახის ბიზნესისა და ფინანსური რისკების შესამცირებლად.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა	კანდიდატს გავლილი უნდა ჰქონდეს საგნები: ა) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება; ბ) აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება.
სწავლების ენა	ქართული
სასწავლო კურსის შესაბამისი კომპეტენციის დონე;	უმაღლესი დონე
შეფასების კრიტერიუმები	კურსის დამთავრების შემდეგ კანდიდატები აბარებენ გამოცდას, სასერტიფიკაციო პროგრამაზე დაყრდნობით, რაც სასერტიფიკაციო პროცესის აუცილებელია ეტაპია. საგამოცდო პროცესს ახორციელებს ბაფის საგამოცდო ცენტრი, რომელშიც საგამოცდოდ კურსდამთავრებული იგზავნება მიმართვის საფუძველზე. შეფასება ხდება წერილობითი გამოცდის ჩატარებით. გამოცდის ფორმატი ითვალისწინებს პრაქტიკული შემთხვევების ანალიზის / სცენარის ტიპის კითხვებს. შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება კანდიდატის მიერ 50 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში. გამოცდის ფორმატი: წერითი, გამოცდისთვის განკუთვნილია 4 საათი.
სასწავლო ლიტერატურა	1. სტრატეგიული ბიზნესლიდერი, სახელმძღვანელო, ბაფ. 2022. 2. სტრატეგიული ბიზნესლიდერი, საგამოცდო კრებული, ბაფ. 2022. 3. P1 – „კორპორაციული მართვა, რისკი და ეთიკა“ © BPP Learning Media Ltd , 2010; 4. P1 კორპორაციული მართვა, რისკი და ეთიკა – სავარჯიშოების კრებული; 5. დამატებით: სალექციო მასალა პრეზენტაციის სახით, სიტუაციური ამოცანები ამოხსნით, დასარიგებელი მასალა (არსებობის შემთხვევაში).
სასწავლო კურსის სილაბუსი განახლებულია 2023 წლის 01 დეკემბრის მდგომარეობით. სასწავლო კურსის პროგრამაში ყოველი ცვლილება ეცნობება ზედამხედველობის სამსახურს შესათანხმებლად.	

სასწავლო კურსის თემატიკა	1. მართვის ძირითადი პრინციპები კომპანიის მფლობელობა/საკუთრება და კონტროლი; რა არის კორპორატიული მართვა ან „მმართველობა?“ ბიზნესის სარგებელი კორპორაციული მართვისგან; კორპორაციული მართვის მიზანი და ამოცანები; მთავარი კონცეფცია; კორპორაციული მართვის არეალში მოქცეული საოპერაციო სფეროები; კორპორაციული მართვის შიდა დაინტერესებული მხარეები; კორპორაციული მართვის გარე მონაწილე მხარეები. 2. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული მიდგომები წესებსა და პრინციპებზე დამყარებული მიდგომები და მათი კავშირი კორპორატიულ მართვასთან; სარბენს-ოქსლის აქტი; მართველობის სტრუქტურები; საერთაშორისო ჰარმონიზაცია. 3. დაინტერესებული მხარეები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა; დაინტერესებული მხარეები და მათი მოთხოვნები; დაინტერესებული მხარეების კლასიფიკაცია და მათი ურთიერთობები; დაინტერესებული მხარეების გავლენა კორპორაციულ მართვაზე; 4. ეფექტური ლიდერობა ლიდერობის ბუნება და მნიშვნელობა; რა ქნის ეფექტურ ლიდერს; ლიდერობა და მართვა; ლიდერობა და კულტურა; მეწარმეობა და „შიდა-მეწარმეობა“ 5. დირექტორთა საბჭო დირექტორთა საბჭო-როლები და მოვალეობები; რა არის მრავალფეროვნება; საბჭოს სტრუქტურა; აღმასრულებელი დირექტორები; დირექტორების დანიშვნა და განგრძობადი პროფესიული განვითარება; დირექტორთა საბჭოს მარეგულირებელი და სამართლებრივი ჩარჩო; თანამდებობაზე წარდგენის კომიტეტი; დირექტორების ანაზღაურება.
--	--

6. დაინტერესებულ მხარეებთან ანგარიშგება

აქციონერებთან, ასევე, ინფორმაციის გასაჯაროების საკითხებთან, კორპორაციული მართვის განვითარება;
ინსტიტუციონალური ინვესტორები;
საერთო კრებები;
ინფორმაციის გასაჯაროება- ზოგადი პრონციპები;
ინფორმაციის გასაჯაროება - კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა;
მდგრადობა;
ეკონომიკური საქმიანობის ეფექტი;
მართვის სისტემა;
სოციალური და გარემოსდაცვითი აუდიტი.
სოციალური და გარემოსდაცვითი ანგარიშგება;
ინტეგრირებული ანგარიშგება.

7. შიდა კონტროლის სისტემების მენეჯმენტი და ანგარიშგება

ანგარიშგების, აუდიტისა და კონტროლის კუთხით კორპორატიული მართვის განვითარება;
შიდა კონტროლისა და რისკების მართვის როლი კორპორატიულ მართვაში;
შიდა კონტროლის განმარტებები;
შიდა კონტროლის სისტემების მიზნები;
ეფექტიანი კონტროლის სისტემა;
როლების გადანაწილება რისკის მართვასა და შიდა კონტროლის მექანიზმებში;
შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის მიმოხილვა;
ხელმძღვანელობისთვის წარსადგენი ინფორმაცია;
ინფორმაციის მახასიათებლები და მისი ხარისხი;
თაღლითობასთან დაკავშირებული რისკის მართვის სტრატეგია;

8. აუდიტი და შესაბამისობა

შიდა აუდიტის მნიშვნელობა და ფუნქციები;
ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს შიდა აუდიტის საჭიროებაზე;
აუდიტორის დამოუკიდებლობა;
პოტენციური ეთიკური საფრთხეები;
აუდიტის კომიტეტი;
აქციონერებისთვის შიდა კონტროლის შესახებ ანგარიშის წარდგენა;

9. რისკების იდენტიფიკაცია, შეფასება და გაზომვა

რისკი და კორპორაციული მართვა;
რისკი და რისკის მართვის საჭიროება;
რისკის მართვა;
რისკის იდენტიფიკაცია: სტრატეგიული და საოპერაციო რისკები;
რისკის იდენტიფიცირება: ბიზნესრისკები;
რისკების იდენტიფიცირება: კატეგორიები და რისკებს შორის

ურთიერთკავსირი;
რისკების შეფასება;
რისკის აღქმა;
რისკის რეესტრი;

10. რისკების მართვა, მონიტორინგი და შემცირება

დირექტორთა საბჭოს როლი;
რისკის კომიტეტი;
რისკის მენეჯერის როლი;
რისკის შესახებ ინფორმულობის ამაღლება;
რისკების გათავისება სისტემაში;
რისკების ნართვა - **TARA ან SARA**;
შემდგომი რისკის მართვის სტრატეგიები;
გარე ანგარიშის წარდგენის პროცესი შიდა კონტროლისა და რისკის შესახებ;
რწმუნებათა რუკა და რისკების რუკა;

11. პროფესიონალიზმი, ეთიკის კოდექსები და საზოგადოებრივი ინტერესი

„პროფესია“ „პროფესიონალიზმის საპირწონედ“ ;
საჯარო ინტერესი;
ბუღალტერთა როლიდა გავლენა;
ეთიკის კორპორაციული კოდექსი;
კორპორაციული და პროფესიული კოდექსები;
ეთიკის პროფესიული კოდექსი;
ინტერესთა კონფლიქტი და ეთიკური საფრთხეები;
კონცეპტუალური ჩარჩო და დაცვითი მექანიზმები;
ეთიკური დილემა და კონფლიქტის მოგვარება;
კორუფცია და ქრთამი;
ეთიკური გადაწყვეტის მიღება;
ეთიკური გადაწყვეტილების მიღება/გამოყენება;
ეთიკური ქცევა.

12. წარმატებისთვის მომზადება - სტრუქტურა და პროცესი

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის სტრუქტურაზე;
ორგანიზაციის სტრუქტურა;
საზღვრის არ მქონე ორგანიზაცია;
ბიზნესის პროცესის გაუმჯობესება;
ორგანიზაციის პროცესების გაუმჯობესება;

13. ელექტრონული ბიზნესი

საინფორმაციო ტექნოლოგია - სტრატეგიული კონტექსტი
ელექტრონული ბიზნესი;
საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკები;
კონტროლი ინფორმაციული სისტემის გარემოში;

საერთო კონტროლი;
ქსელის კონტროლი.

14. ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმატებული გამოყენება

მიწოდების ჯაჭვის მართვის სისტემა;
აღმავალი მიწოდების ჯაჭვის მართვა
დადმავალი მიწოდების ჯაჭვის მართვა;
დიდი მონაცემების გამოყენება ბიზნეს სტრატეგიის ინფორმაციული
უზრუნველყოფისა და განხორციელებისთვის;
რეგულაციური ტექნოლოგია;
პროგრამული უზრუნველყოფა;
ხელოვნური ინტელექტი;
ტექნოლოგიების გამოყენების ეთიკა;

15. პროექტების მართვა

პროექტის მახასიათებლები;
ეტაპები პროექტის სასიცოცხლო ციკლში;
პროექტის გეგმა;
პროექტის განხორციელება;
პროექტის მონიტორინგი და კონტროლი;
პროექტის დასრულება;

16. ფინანსური საკითხების გადაწყვეტა

ურთიერთობა სტრატეგიასა და ფინანსებს შორის;
ფინანსური ფუნქცია და პროცესების ავტომატიზაცია;
არაკომერციული ორგანიზაციები;
დაფინანსების სტრატეგიები;
ხარჯებისა და მართვის გაანგარიშების როლი;
გადაწყვეტილების მიღების მეთოდები;
რისკთან და გაურკვევლობასთან საქმის ქონა გადაწყვეტილებების
მიღებისას;
ბიუჯეტის შედგენა;
ცვლილებების ანალიზი;
ბიუჯეტირები, სტანდარტული ხარჯთაღიწვისა და ცვლილებების
სტრატეგიული როლი;
რაოდენობრივი ანალიზის სხვა ტექნიკები.

17. სტრატეგიული ცვლილებების მართვა

სტრატეგიული ცვლილება;
ორგანიზაციული კულტურის გავლენა ცვლილებაზე;
ცვლილებებისათვის წინააღმდეგობა; წინააღმდეგობების გადალახვა;
ცვლილებების კონტექსტი (ბალოგუნი და ჰოუპ ჰეილი)
ცვლილებები ბიზნესის სისტემაში.

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	ბიზნეს სამართალი
სასწავლო კურსის კოდი	CP 004
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო
სასწავლო კურსის კრედიტები	5 კრედიტი - 125 საათი. აქედან, საკონტაქტო - 75 საათი; დამოუკიდებელი - 50 საათი.
